ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №568467

ნომერი: AR1111542

თარიღი : 22.02.2013

გაცემის თარიღი : 01.03.2013

გაცნობის თარიღი : 21.10.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აღმართი მეტეხი , N 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან დოდაშვილი პ/ნ 01005004568
- თბილისი კ.მესხის ქ. N 44

ნომენკლატურა :

- რესტორანი
- III კლასი
- მიშენება ან მიშენება - დაშენება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საკვები ობიექტი, რესტორანი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მარიამ სუპატაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ''ბ'' ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ''ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში

შექმნილ სათათბირო ორგანოს - გაერთიანებულ სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოს (ოქმი N8, 26.02.13 წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც უარი ეთქვა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, მეტეხის აღმ. N3–ში (ძეგლი) არსებულ რესტორანზე მიშენების ესკიზური პროექტის წარმოდგენილ ვარიანტს საბჭოს წევრების რეკომენდაციების გათვალისწინებით: "დაუშვებელია გვერდით მდგომი შენობის კედლისა და აივნის დაფარვა".

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, ქ. დოდაშვილს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას, მოქ. ქ. დოდაშვილს, ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, მეტეხის აღმ. N3–ში (ძეგლი) არსებულ რესტორანზე მიშენების ესკიზური პროექტის წარმოდგენილი ვარიანტის შეთანხმების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.